




ევროკავშირი
საქართველოსთვის



ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების
ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა

სურსათით უზრუნველყოფის მხრივ მოწყვლადი
მოსახლეობის იდენტიფიცირების, შეწირული
სურსათის შეგროვებისა და განაწილების
ხელშესაწყობად და სურსათის დანაკარგისა და
ნარჩენების და შეწირული სურსათის უსაფრთხოების
შესახებ
საინფორმაციო კამპანიის ჩასატარებლად

განაცხადების მიღება საგრანტო კონკურსისათვის



სარჩევი

1. საცნობარო ინფორმაცია	3
2. კონკურსის მიზანი	4
3. შესაბამისობის კრიტერიუმები.....	6
4. განაცხადების წარდგენის პროცესი	8
5. განაცხადების შერჩევის პროცესი	10
6. პროექტების მონიტორინგი.....	11



1. საცნობარო ინფორმაცია

პროექტი „მდგრადი სასურსათო სისტემის დანერგვა საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობით“ წარმოადგენს თანამშრომლობას შემდეგ ორგანიზაციებს შორის: „ადამიანი გაჭირვებაში“ (PIN), საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება (GRC), „პარკი არ მინდა“ და „ელიოტს სასთეინეზილითი“. პროექტის მიზანია სამოქალაქო საზოგადოების აქტორების შესაძლებლობების გაძლიერება სურსათის ნარჩენების შემცირებისა და სასურსათო უსაფრთხოების დონის ამაღლების მიმართულებით, განსაკუთრებული აქცენტით წყალტუბოს მუნიციპალიტეტზე. ეს ინიციატივა დაფინანსებულია ევროკავშირის (EU) და ჩეხეთის განვითარების სააგენტოს (CZDA) მიერ და აერთიანებს სხვადასხვა პარტნიორის გამოცდილებას სურსათის ნარჩენებისა და სასურსათო დაუცველობასთან დაკავშირებული პრობლემების გადასაჭრელად.

აღნიშნული აქტივობა ეფუძნება PIN-ისა და წითელი ჯვრის მოძრაობის გლობალურ გამოცდილებას სასურსათო უსაფრთხოების, ნარჩენების მართვისა და კლიმატის ცვლილების შედეგების შერბილების სფეროში, სურსათის ბანკის ინიციატივის პილოტირების მიზნით. ეს ინიციატივა ითვალისწინებს სასურსათო სფეროში მოქმედი ბიზნეს ოპერატორების (FBO) მიერ შეწირული გაუყიდავი კვების პროდუქტების გადანაწილებას იმერეთის რეგიონის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სურსათით უზრუნველყოფის მხრივ დაუცველი მოსახლეობისთვის.

ეს აქტივობა უზრუნველყოფს წყალტუბოს ადგილობრივი განვითარების ჯგუფის (LAG წყალტუბო) და სხვა ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების აქტორების (სსა), მათ შორის, რეგისტრირებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და არაფორმალური ჯგუფების ჩართულობას. მათი როლი იქნება მოწყვლადი ადამიანების იდენტიფიცირება, სურსათის ბანკიდან პროდუქტების გადანაწილება, ფერმერებთან და მუნიციპალურ სასაბუღალტრო თანამშრომლობის ხელშეწყობა, ასევე საინფორმაციო კამპანიის წარმოება, რათა საზოგადოებას დარწმუნებით მიაწოდონ ინფორმაცია, რომ შეწირული საკვები პროდუქტები უსაფრთხოა.

სურსათის გადანაწილება არამხოლოდ შეამცირებს ფერმებში ნარჩენებსა და დანაკარგებს, არამედ ხელს შეუწყობს სათბურის აირების ემისიების შემცირებას და სასურსათო დაუცველობის პრობლემის გადაჭრას ადგილობრივ დონეზე. გარდა ამისა, LAG-ებისა და სამოქალაქო ორგანიზაციებისათვის ჩატარდება ტრენინგები, რაც მათ საშუალებას მისცემს თავიანთ თემებში წარმართონ სურსათის ნარჩენების შემცირებისა და ცნობიერების ამაღლების კამპანიები, რათა ადგილობრივ დონეზე მოახდინონ ქცევის ცვლილების ხელშეწყობა.

პროექტის ფარგლებში, მიზნობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები, მათ შორის LAG წყალტუბო, პასუხისმგებლები იქნებიან წყალტუბოს მუნიციპალიტეტში მცხოვრები სურსათით დაუცველი პირებისთვის საკვების განაწილების პროცესის ხელშეწყობაზე - ადგილობრივი სურსათის ბანკის ფუნქციონირებისა და საკვების მიწოდების ორგანიზების



გზით, განსაკუთრებით იმ ბენეფიციარებისთვის, რომლებიც მობილობისა თუ გადაადგილების სირთულეებს განიცდიან. ამასთანავე, გამარჯვებული ორგანიზაციები ითანამშრომლებენ შერჩეულ სუპერმარკეტების ქსელებთან და სუპერმარკეტებში განათავსებენ შემოწირულობის ყუთებს, რათა წაახალისონ მყიდველები სურსათის ბანკისთვის შემოწირულობის გასაკეთებლად. ასევე, ადგილზე ჩაატარებენ მცირე ცნობიერების ამაღლების ღონისძიებებს, რომელთა მიზანია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება როგორც სურსათის დანაკარგებისა და ნარჩენების შემცირების, ისე სურსათის ბანკის მისიისა და მიზნების შესახებ.

გარდა ამისა, შერჩეული ორგანიზაციები მონაწილეობას მიიღებენ მოწყვლადი პირების (სურსათის ბანკის ბენეფიციარების) იდენტიფიცირების პროცესში, რომლებიც არ არიან ჩართულნი სახელმწიფო სოციალური დახმარების პროგრამებში. იდენტიფიცირების პროცესი უნდა ეფუძნებოდეს თემზე ორიენტირებულ, გენდერულად მგრძნობიარე და უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომას. მოსალოდნელია, რომ აღნიშნული ძალისხმევა ხელს შეუწყობს სურსათზე სამართლიან ხელმისაწვდომობას, თემების ჩართულობას და საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას სურსათით უზრუნველყოფისა და სურსათის უსაფრთხოების საკითხებზე.

2. კონკურსის მიზანი

კონკურსის მიზანია დაფინანსების გამოყოფა ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისათვის, რათა მათ ხელი შეუწყონ წყალტუბოში არსებული სურსათის ბანკის საწყობიდან სურსათის გადანაწილებას წყალტუბოს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მოწყვლად მოსახლეობაზე. ეს მოიცავს:

- ✚ სურსათის ბანკის საწყობში არსებული გაცემის პუნქტის ფუნქციონირების მხარდაჭერას, სადაც ბენეფიციარებს პროდუქტის მიღების შესაძლებლობა ექნებათ. ასევე, საკვების ამანათების მიტანის ორგანიზებას იმ პირებისთვის, რომელთაც საკუთარი ძალებით საკვების აღება არ შეუძლიათ ფიზიკური მობილობის შეზღუდულობის, გეოგრაფიული დაშორების ან სხვა მსგავსი მიზეზების გამო.
- ✚ თანამშრომლობას ქუთაისსა და მიმდებარე ქალაქებში არსებულ სუპერმარკეტების ქსელებთან, სადაც განთავსდება სურსათის ბანკის შემოწირულობის ყუთები. შერჩეული ორგანიზაციების წარმომადგენლები სუპერმარკეტების მომხმარებლებს წაახალისებენ, რომ გააკეთონ საკვების მცირედი შემოწირულობა სურსათის ბანკისთვის. აღნიშნული ძალისხმევა ხელს შეუწყობს როგორც სურსათის შეგროვებას, ისე საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას სურსათის დანაკარგებისა და ნარჩენების შემცირების, ასევე სურსათის ბანკის მისიის მნიშვნელობის შესახებ.



- ✚ შეგროვებული სურსათის წყალტუბოს საწყობში ტრანსპორტირებას და მის განაწილებას ბენეფიციარებისათვის, თბილისიდან მოწოდებულ პროდუქტთან ერთად.
- ✚ სურსათის ბანკის ბენეფიციარებისთვის მიზნობრივი საინფორმაციო კამპანიების განხორციელებას. სურსათის გადანაწილების პროცესში მნიშვნელოვანია ბენეფიციარებისთვის განიმარტოს, რომ მიწოდებული საკვები უსაფრთხოა მოხმარებისთვის, მიუხედავად ვარგისიანობის ვადის მოახლოებისა ან უკვე გასვლისა.

გარდა ამისა, შერჩეული ორგანიზაციები თემზე დაფუძნებული, გენდერულად მგრძნობიარე და უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის გამოყენებით მოახდენენ სურსათით დახმარების საჭიროების მქონე იმ პირების იდენტიფიცირებას, რომლებიც ოფიციალურად არ არიან რეგისტრირებულნი სახელმწიფო სოციალური სააგენტოს ბაზაში. შესაბამისი რეკომენდაციები კონფიდენციალურად გადაეცემა საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებას, რომელიც განახორციელებს ბენეფიციართა შესაფერისობის გადამოწმებას და ცენტრალიზებული მონაცემთა ბაზის წარმოებას. შერჩეულ ორგანიზაციებს გადაეცემათ მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო და ჩაუტარდებათ ტრენინგი ადამიანის უფლებების სტანდარტების შესაბამისი ეთიკური და ინკლუზიური პრაქტიკის უზრუნველსაყოფად.

მოსალოდნელი შედეგები:

- წყალტუბოს მუნიციპალიტეტში სურსათით დაუცველი პირების გამოვლენა და იდენტიფიცირება
- სურსათის განაწილების პუნქტის ეფექტიანი ფუნქციონირება და სურსათის ბანკის პოპულარიზაცია
- საკვები ამანათების მიტანის ორგანიზება იმ პირებისთვის, რომელთაც საკუთარი ძალებით პროდუქტის მიღება არ შეუძლიათ
- ადგილობრივი სუპერმარკეტებიდან საკვები პროდუქტების შეგროვების ხელშეწყობა
- შეწირული სურსათის უსაფრთხოებაზე ცნობიერების ამაღლება როგორც ბენეფიციარებში, ასევე წყალტუბოს ფართო საზოგადოებაში
- წყალტუბოში ახლად შექმნილი სურსათის ბანკის ცნობადობის ამაღლება და მოსახლეობის ინფორმირება სასურსათო დაუცველობის წინააღმდეგ ბრძოლის მასშტაბური ინიციატივის ფარგლებში.

ძირითადი მიზანი არ შემოიფარგლება მხოლოდ სურსათის სამართლიანი განაწილებით, არამედ ითვალისწინებს ადგილობრივი თემების ჩართულობის გაძლიერებას, სურსათის უსაფრთხოების, დანაკარგებისა და ნარჩენების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას და სასურსათო დახმარების ინიციატივების ეთიკურ განხორციელების მხარდაჭერას წყალტუბოს მუნიციპალიტეტში.



3. შესაბამისობის კრიტერიუმები

საგრანტო კონკურსი ღიაა სამოქალაქო საზოგადოების არაკომერციული (არამომგებიანი) ორგანიზაციებისთვის, მათ შორის საქართველოში მოქმედი არაფორმალური ჯგუფებისთვის, რომლებიც საქმიანობენ შემდეგი მიმართულებებიდან ერთ-ერთში:

საზოგადოების ჩართულობისა და ცნობიერების ამაღლების ინიციატივები, შესაძლებლობების განვითარება, მოწყვლადი თემების მხარდაჭერა, სოფლის განვითარება, თემის მობილიზება და ადვოკატირება, გარემოსდაცვითი საქმიანობა, სასურსათო დახმარების განაწილება, საზოგადოებრივი ჯანმრთელობა ან სოციალური სერვისები და სხვა. მაგალითისთვის, ასეთი ორგანიზაციებია:

- წყალტუბოს ადგილობრივი განვითარების ჯგუფი (LAG Tskaltubo)
- საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, რომლებიც აქტიურად მუშაობენ წყალტუბოს, ქუთაისის ან ხონის მუნიციპალიტეტებში და თანამშრომლობენ სხვა სამოქალაქო ორგანიზაციებთან, ასოციაციებთან, არაფორმალურ ჯგუფებთან ან სამოქალაქო ინიციატივებთან. ასევე დაიშვებიან შესაბამისი გამოცდილების მქონე რეგიონული ან ეროვნული მასშტაბის ორგანიზაციებიც.
- არაფორმალური ჯგუფები ან სამოქალაქო ინიციატორები/აქტივისტები, რომლებიც მოღვაწეობენ წყალტუბოს, ქუთაისის ან ხონის მუნიციპალიტეტებში.

პრიორიტეტი მიენიჭებათ განმცხადებლებს, რომლებიც:

- წარმომადგენენ ადგილობრივ თემს და ფლობენ ფართო სოციალურ ქსელს, რომლის მეშვეობითაც შეძლებენ მოწყვლადი პირების იდენტიფიცირებას და მათთან დაკავშირებას.
- მობილიზებას გაუწევენ მოხალისეებსა და ადგილობრივ მხარდამჭერებს, რომლებიც შეძლებენ სურსათის განაწილებაში დახმარებას.
- აქვთ სუპერმარკეტებთან, მუნიციპალიტეტებთან და სოციალური სერვისების მიმწოდებლებთან თანამშრომლობის გამოცდილება.

დამატებითი კრიტერიუმები მოიცავს:

- ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული და გენდერულად მგრძნობიარე თემზე ორიენტირებული მხარდაჭერის ინიციატივების განხორციელების მკაფიო უნარი.
- დადასტურებული კავშირები ადგილობრივ თემებთან და/ან მოწყვლად ჯგუფებთან მუშაობის გამოცდილება.
- ეთიკური სტანდარტების დაცვისა და მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო მოთხოვნების შესრულების მზაობა.



განაცხადები უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- არაკომერციული ორგანიზაციის რეგისტრაციის სტატუსი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
- მსგავსი პროექტების განხორციელების მინიმუმ ორწლიანი გამოცდილება.
- ბიუჯეტის იმ ოდენობის მართვის გამოცდილება, რომელიც შეესაბამება შემოთავაზებული პროექტის ბიუჯეტის ოდენობას.

გთხოვთ გაითვალისწინოთ: თუ არაფორმალური ჯგუფი იქნება შერჩეული დაფინანსებისთვის, მათ მოეთხოვებათ იურიდიულ პირად რეგისტრაცია.

კონკურსში მონაწილეობის უფლება არ აქვს საჯარო ადმინისტრაციული დაწესებულებების, სამთავრობო დაწესებულებების, სამთავრობო უწყებების, ადგილობრივი ხელისუფლების, რეგიონული ხელისუფლების, პოლიტიკური პარტიების ან პოლიტიკურ პარტიებთან, ასევე რეგულირებელი ორგანიზაციებთან დაკავშირებული ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილ განაცხადებს.

გრანტის ოდენობა და ხანგრძლივობა:

ამ კონკურსის ფარგლებში PIN-ი დააფინანსებს მაქსიმუმ **5 ინდივიდუალურ გრანტს**, თითოეულს **100 000¹** ლარამდე ოდენობით. პროექტების ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს **9 თვეს**.

დასაფინანსებელი ხარჯები:

- პროექტის თანამშრომლების ხელფასები
- მგზავრობისა და ტრანსპორტირების ხარჯები
- ტრენინგი და შესაძლებლობების გაძლიერების სემინარები
- კონსულტაციები და პროფესიული მომსახურება: ხარჯები მოწვეული ექსპერტებისთვის და სერვისებისთვის
- საოპერაციო ხარჯები: ოფისის ქირა, ოფისის კომუნალური გადასახადები და საკომუნიკაციო ხარჯები, რომლებიც საჭიროა პროექტის ეფექტური განხორციელებისთვის
- შესაბამისი აღჭურვილობა
- სხვა დამატებითი ხარჯები, რომლებიც სათანადოდ არის დასაბუთებული და აუცილებელია პროექტის მიზნების მისაღწევად

¹ თანხა შეიძლება მცირეოდენით დაკორექტირდეს პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული გაცვლითი კურსის მიხედვით.



დაუშვებელი ხარჯები:

ბიუჯეტი უნდა შეესაბამებოდეს მე-2 თავში: „კონკურსის მიზანი“ აღწერილ აქტივობებს. აღსანიშნავია, რომ შემდეგი აქტივობები და ხარჯები არ ექვემდებარება დაფინანსებას აღნიშნული კონკურსის ფარგლებში:

- ხარჯები, რომლებიც გაწეულია სხვა დონორის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში და დაფინანსებულია სხვა დონორის მიერ
- ალკოჰოლური სასმელები
- სესხები და სესხებთან დაკავშირებული ხარჯები
- გართობისთვის განკუთვნილი ხარჯები
- ჯარიმები და სხვა ფინანსური სანქციები
- პროდუქცია და სერვისები პირადი მოხმარებისთვის
- ლობირების ხარჯები
- ინდივიდუალური დაფინანსებები
- პოლიტიკური და რელიგიური აქტივობები
- გარემოსთვის ზიანის მომტანი აქტივობები
- ჰუმანიტარული დახმარება
- მიწის ან უძრავი ქონების შეძენა
- ვალუტის კურსის ცვლილების შედეგად წარმოშობილი დანაკარგები
- რეტროსპექტიული აქტივობები (ხარჯები, რომლებიც წარმოიშვა საგრანტო ხელშეკრულების გაფორმებამდე)

4. განაცხადების წარდგენის პროცესი

განმცხადებლებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:

- დანართი 1 – განაცხადის ფორმა
- დანართი 2 – ბიუჯეტი
თუ ორგანიზაცია რეგისტრირებულია:
- ორგანიზაციის რეგისტრაციის მოწმობა
- მსგავსი პროექტების განხორციელების გამოცდილების დადასტურება (გთხოვთ, იხილეთ დანართი 4 და შევასოთ)
- პროექტის გუნდის რეზიუმე (CV).

თუ ორგანიზაცია რეგისტრირებული არაა:

- არაფორმალური ჯგუფების მიერ განხორციელებული აქტივობების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, როგორიცაა მაგალითად: პოსტები სოციალურ მედიაში, ფოტოები, ონლაინ სტატიები, სოციალური მედიის გვერდები/ჯგუფები, ვიდეოები და სხვა
- არაფორმალური ჯგუფების წევრების რეზიუმეები (CV)



განაცხადები წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე. ყველა წარმოდგენილი განაცხადი უნდა იყოს ხელმოწერილი განმცხადებელი ორგანიზაციის ხელმძღვანელის მიერ, დასკანერებული და გაგზავნილი ელექტრონულად. გთხოვთ, შეინახოთ სამუშაო ფაილები (Word, Excel და სხვა) სამომავლო საჭიროების შემთხვევაში.

განცხადებისათვის საჭირო სრული დოკუმენტაცია უნდა გაიგზავნოს მისამართზე: FoodBankFSTP@peopleinneed.net.

სრული განაცხადის წარდგენის ბოლო ვადაა **2025 წლის 22 ივლისი, სამშაბათი, 23:59 საათი**. არასრული ან დაგვიანებული განაცხადები არ მიიღება.

დამატებითი ინფორმაცია

- თქვენს განაცხადთან დაკავშირებული კითხვები შეგიძლიათ გამოგზავნოთ 2025 წლის 17 ივლისამდე, შემდეგი ელექტრონული ფოსტის მისამართზე: FoodBankFSTP@peopleinneed.net. კითხვებზე პასუხი იქნება გაცემული 2 სამუშაო დღის განმავლობაში.
- დაინტერესებული აპლიკანტებისთვის საინფორმაციო შეხვედრა გაიმართება ონლაინ ფორმატში **2025 წლის 9 ივლისს 14:00 საათზე**. დასასწრებად გთხოვთ გამოიყენოთ Microsoft Teams-ის შემდეგი ბმული: [საინფორმაციო შეხვედრა](#)
- გრანტების ყველა მიმღებს მოეთხოვება სავალდებულო სასწავლო კურსის გავლა, რომელიც მოიცავს რამდენიმე ძირითად თემას, მათ შორის PIN-ის პოლიტიკას, გრანტების მართვას, უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ჰუმანიტარული დახმარების საფუძვლებს და სერვისების მიწოდების სტანდარტებს, ასევე კომუნიკაციისა და საჯაროობის საკითხებს.
- ყველა გრანტის მიმღები ორგანიზაცია ვალდებულია დაესწროს გენდერის ექსპერტების მიერ ორგანიზებულ სემინარს, რომელიც მიზნად ისახავს გენდერული მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოს გაცნობას. სემინარის შედეგად, მონაწილეები შეძლებენ მოწყვლადი პირების იდენტიფიცირებასა და მხარდაჭერას გენდერული ასპექტების გათვალისწინებით.



5. განაცხადების შერჩევის პროცესი

განაცხადებს შეაფასებს გრანტების შერჩევის კომისია ქვემოთ მოცემული შერჩევის კრიტერიუმების მიხედვით. კომისიის შემადგენლობაში შედიან PIN-ის ორი და საქართველოს წითელი ჯვრის ერთი წარმომადგენელი, ასევე ერთი მოწვეული ექსპერტი. PIN-ი იტოვებს უფლებას მოსთხოვოს განმცხადებლებს, შეცვალონ თავიანთი პროექტის ბიუჯეტი ან/და საპროექტო წინადადებები. საჭიროების შემთხვევაში კომისია შესთავაზებს განმცხადებლებს შეამცირონ ან ამოიღონ ხარჯები, რომლებსაც კომიტეტი არ მიიჩნევს გამართლებულად საგრანტო პროექტების ფარგლებში დასახული მიზნის მისაღწევად.

	განაცხადის შერჩევის კრიტერიუმები	მაქსიმალური ქულა
1	წინადადების შესაბამისობა ამ სახელმძღვანელოში დადგენილ მიზნებთან	25
2	სამიზნე ჯგუფის/ჯგუფების საჭიროებების საფუძვლიანი ანალიზი/იდენტიფიცირებული საჭიროებების დაკმაყოფილებისკენ მიმართული აქტივობები	20
3	საზოგადოების ჩართულობის სტრატეგიები	20
4	ხარჯეფექტური და რეალისტური ბიუჯეტი	15
5	დადასტურებული გამოცდილება და კვალიფიკაცია მსგავსი პროექტების ფარგლებში	10
6	გარემოზე ზემოქმედება/მდგრადობა და გენდერი	5
7	რისკების ანალიზი და შემარბილებელი ღონისძიებები	5
	სულ:	100

მნიშვნელოვანი ვადები

- განაცხადის წარდგენის საბოლოო ვადაა **2025 წლის 22 ივლისი, 23:59 საათი**.
- საინფორმაციო შეხვედრა დაინტერესებული განმცხადებლებისთვის ჩატარდება **2025 წლის 9 ივლისს, 14:00 საათზე**, ონლაინ ფორმატში, Teams-ის პლატფორმაზე: [საინფორმაციო შეხვედრა](#)
- წინადადებასთან დაკავშირებული კითხვების მიღება დასრულდება **2025 წლის 17 ივლისს, 18:00 საათზე**.
- საბოლოო შედეგები გამოცხადდება **2025 წლის 6 აგვისტოს**.
- საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტების განხორციელების პერიოდია: **2025 წლის 1 სექტემბრიდან 2026 წლის 31 მაისის ჩათვლით**.



6. პროექტების მონიტორინგი

PIN-ის პროექტის გუნდი ჩაატარებს მონიტორინგის ვიზიტებს, რათა სათანადოდ დააკვირდეს საგრანტო განაცხადში განსაზღვრული აქტივობების განხორციელებას გრაფიკისა და ბიუჯეტის შესაბამისად. გრანტის მიმღებებისთვის გათვალისწინებული იქნება უკუკავშირი მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით; საჭიროების შემთხვევაში, მოხდება გეგმების კორექტირება მიზნების უფრო ეფექტიანი მიღწევის უზრუნველსაყოფად. გრანტის მიმღებებს მოეთხოვებათ შუალედური და საბოლოო ანგარიშების წარდგენა, რომლებიც უზრუნველყოფს ინფორმაციას პროექტის მიმდინარეობის, გამოწვევებისა და მიღწეული შედეგების შესახებ. საბოლოო შეფასებას ჩაატარებს PIN-ის გუნდი დასახული მიზნებისა და გავლენის მიღწევაში გრანტების საერთო წარმატების შესაფასებლად.

განაცხადების შერჩევის პროცესთან დაკავშირებული ნებისმიერი კითხვის ან კომენტარის წარდგენა შეგიძლიათ შემდეგი არხებით:

მობილური ტელეფონის ნომერი: + 995 591 03 00 21

ელფოსტა: feedback.georgia@peopleinneed.cz